

## საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომის ოქმის ამონაწერი

№73/2

2017 წელი, 23 ივნისი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2017 წლის 23 ივნისის სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული, რომ საპარლამენტო ფრაქციის „მოდრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონების“ სადამფუძნებლო დოკუმენტში – ფრაქციის წესდებაში შეტანილ იქნა შესწორება, კერძოდ, საპარლამენტო ფრაქციას „მოდრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონებს“ შეეცვალა ოფიციალური სახელწოდება და ეწოდა „ევროპული საქართველო-რეგიონები“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,  
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე



ფრაქცია „კოორდაცია თავისუფლებისთვის -  
რეგიონები“

ა<sup>0</sup> 10275  
19.06.2019

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ბატონ ირაკლი კობახიძეს

პარლამენტის საპროცედურო  
საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს  
ბატონ გიორგი კახიანს

პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს  
ქალბატონ ეთერ სვიანიძეს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 16 ივნისს გაიმართა საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქცია „ევროპული საქართველო-რეგიონები“ სხდომა, სადაც მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. ფრაქციის სახელწოდებად განისაზღვრა „ევროპული საქართველო-რეგიონები“, ფრაქცია რჩება საპარლამენტო უმცირესობაში.
2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა - ლელა ქებურია.
3. ფრაქციის მდივნად არჩეულ იქნა - მამუკა ჩიქოვანი.

დანართი: ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა, წესდება და სხდომის ოქმი (12 ფურცელი.)

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე  
გიორგი ღვინიაშვილი

საპარლამენტო ფრაქცია  
„მოდრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონები“  
16 ივნისის სხდომის  
დღის წესრიგი:

1. ფრაქციის სახელწოდების შეცვლის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ღვინიაშვილი

2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ღვინიაშვილი

3. ფრაქციის მდივნის არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ღვინიაშვილი

საპარლამენტო ფრაქცია  
„მოძრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონები“  
16 ივნისის სხდომის ოქმი

**დღის წესრიგი:**

1. ფრაქციის სახელწოდების შეცვლის შესახებ.  
მომხსენებელი: გიორგი ღვინიაშვილი
2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.  
მომხსენებელი: გიორგი ღვინიაშვილი
3. ფრაქციის მდივნის არჩევის შესახებ.  
მომხსენებელი: გიორგი ღვინიაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. ღვინიაშვილი გიორგი;
2. ბობოხიძე აკაკი;
3. დამენია ლაშა;
4. ქებურია ლელა;
5. ჩიქოვანი მამუკა.

**სხდომის დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა ერთხმად.**

1. ფრაქციის თავმჯდომარის გიორგი ღვინიაშვილის მიერ დაყენებულ იქნა წინადადება ფრაქციის სახელწოდების შეცვლის თაობაზე. ფრაქციის სახელწოდებად წარმოდგენილ იქნა „ევროპული საქართველო-რეგიონები“.

2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატად, ფრაქციის წევრების (გიორგი ღვინიაშვილის, ლაშა დამენიას და აკაკი ბობოხიძის) მიერ დასახელებულ იქნა ლელა ქებურიას კანდიდატურა.
3. ფრაქციის მდივნის კანდიდატად, ფრაქციის წევრების (გიორგი ღვინიაშვილის, ლელა ქებურიას და ლაშა დამენიას) მიერ დასახელებულ იქნა მამუკა ჩიქოვანის კანდიდატურა.

მიღებული გადაწყვეტილებები:

1. ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება და ფრაქციის სახელწოდებად განისაზღვრა - „ევროპული საქართველო-რეგიონები“.

მომხრე 5 წევრი.

წინააღმდეგი 0 წევრი.

2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა - ლელა ქებურია.

მომხრე 5 წევრი.

წინააღმდეგი 0 წევრი.


3. ფრაქციის მდივნად არჩეულ იქნა - მამუკა ჩიქოვანი.

მომხრე 5 წევრი.

წინააღმდეგი 0 წევრი.

ფრაქციის თავმჯდომარე,

გიორგი ღვინიაშვილი



მიღებულია საპარლამენტო ფრაქციის  
„ევროპული საქართველო-რეგიონების“  
2017 წლის 16 ივნისის სხდომაზე  
ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ღვინიაშვილი

საპარლამენტო ფრაქციის  
„ევროპული საქართველო-რეგიონების“  
პოლიტიკური პლატფორმა

ფრაქციის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტებია:

- საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება;
- საქართველოს ეკონომიკის გაზრდა, უმუშევრობის შემცირება და სიღარიბის დაძლევა;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის მხარდაჭერა;
- ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არადიარების პოლიტიკის გაგრძელების უზრუნველყოფა და რუსეთის მიერ მათი ანექსიის პრევენცია;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები თანამოქალაქეების საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ და საგანმანათლებლო სივრცეში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;
- ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და ამ სფეროში რეფორმების გაგრძელება;
- მეტი თავისუფლება, მეტი დემოკრატია, მეტი პროგრესი/კეთილდღეობა;
- კანონის უზენაესობის, საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა;
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაფართოება და სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება;
- შეუცვლელი და ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქვეყნის ინტეგრაციაზე ევრო-ატლანტიკურ სივრცესა და სტრუქტურებში;
- ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პრინციპის დაცვა;
- თვითმმართველობის განვითარება და შემდგომი დეცენტრალიზაცია;
- ფისკალური სისტემის შემდგომი დეცენტრალიზაცია;

- საქართველოს რეგიონების სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაცია;
- მდგრადი საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად;
- ეკონომიკური დანაშაულების დეკრიმინალიზაცია;
- სახელმწიფოს როლის შემოფარგვლა ეკონომიკაში საკუთრების უფლების დაცვითა და დავათა გადაწყვეტით;
- სოციალურად დაუცველ ფენებზე ზრუნვა;
- დევნილების საკუთარ სახლებში ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა;
- პენსიების და სოციალური დახმარებების ზრდის პროცესების მხარდაჭერა, ეფექტური საპენსიო და სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბების საკანონმდებლო მხარდაჭერა;
- მოსახლეობისთვის სრულფასოვანი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაზღვევის სამართლიანად განაწილების სისტემის დამკვიდრება;
- განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სკოლამდელი და საშუალო განათლების ხარისხის გაზრდა;
- უმაღლესი განათლების დაწესებულებების ავტონომიის გაზრდა და ინტერნაციონალიზაცია;
- რელიგიისა და პოლიტიკის გამიჯვნა, სეკულარიზმის პრინციპის დაცვა;
- არსებული რეფორმების განგრძობადობის უზრუნველყოფა და მათი გაგრძელების მონიტორინგი;
- საქართველოს ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის მდგრადობის დაცვა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და შენარჩუნება და განმტკიცება.

ფრაქციის თავმჯდომარე

გიორგი ღვინიაშვილი



მიღებულია საპარლამენტო ფრაქცია  
„ევროპული საქართველო-რეგიონები“  
2017 წლის 16 ივნისის სხდომაზე  
ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ლენიაშვილი

საპარლამენტო ფრაქცია  
„ევროპული საქართველო-რეგიონები“

წ ე ს დ ე ბ ა

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. საპარლამენტო ფრაქცია „ევროპული საქართველო-რეგიონები“ (შემდგომში - „ფრაქცია“) არის საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე პარლამენტის წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.
2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

თავი II ფრაქციის მიზნები და ამოცანები

მუხლი 2

ფრაქციის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

- ა) საქართველოს პარლამენტში ქვეყნის საგარეო და საშინაო საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოლიტიკური კურსის გამოხატვა და გატარება;
- ბ) პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობის სრულყოფაში მონაწილეობის მიიღება;
- გ) პარლამენტის წევრთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და მათი აქტიურობის გაზრდისათვის, ასევე მათ მიერ პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნათა შესრულებასა და საპარლამენტო ქვეყნის სტანდარტების დაცვისათვის ხელი შეწყობა; გ) პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებაში ფრაქციის შეჯერებული აზრის გამოხატვა.
- დ) ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.



### თავი III ფრაქციის ძირითადი უფლებამოსილებები

#### მუხლი 3

ფრაქცია უფლებამოსილია:

- ა) განახორციელოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება;
- ბ) შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, პასუხისმგებელ ორგანოებს და საქართველოს მთავრობის ცალკეულ წევრს;
- გ) მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის კომიტეტების, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების, ინტერფრაქციული ჯგუფის, საპარლამენტო დელეგაციების საქმიანობაში წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით;
- დ) წარადგინოს კანდიდატები ამ მუხლის "გ" ქვეპუნქტში მითითებულ ორგანოებში, აგრეთვე გამოიწვიოს ფრაქციის წევრი ამ ორგანოებიდან, გადაწყვიტოს ფრაქციის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი საკითხები;
- ე) უფლება აქვს მოითხოვოს სხდომათა დარბაზში ფრაქციისათვის ადგილის გამოყოფა, ხოლო პარლამენტის სასახლეში – სამუშაო ფართობის გამოყოფა.
- ვ) მოსთხოვოს პარლამენტის აპარატს ფრაქციის ოფიციალური მიმართვის გავრცელება პარლამენტის წევრებს შორის;
- ზ) რეგლამენტით დადგენილი წესით კომიტეტისა და პარლამენტის პლენარულ სხდომებზე გამოთქვას მოსაზრება პარლამენტის მიერ ასარჩევ დასანიშნ ან დასამტკიცებელ კანდიდატურებთან, ან იმ კანდიდატურებთან დაკავშირებით, რომლის დანიშვნაზეც თანხმობას აძლევს პარლამენტი, ასევე მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების საკითხებთან;
- თ) მოითხოვოს პოლიტიკური დებატების დღის დანიშვნა;
- ი) რეგლამენტით დადგენილი წესით ერთი სესიის განმავლობაში ორჯერ ისარგებლოს ოცდაათწუთიანი გამოსვლით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე;
- კ) განახორციელოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

## თავი IV ფრაქციის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

### მუხლი 4

1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.
2. ფრაქციის სხდომა როგორც წესი დახურულია. გადაწყვეტილება ფრაქციის ღია სხდომის გამართვის შესახებ მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით ფრაქციის თავმჯდომარის ან ან ფრაქციის წევრთა არანაკლებ 2 წევრის მოთხოვნის საფუძველზე.
3. ფრაქციის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში 1 სხდომისა. საჭიროებისამებრ ფრაქციის სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარს საკუთარი ინიციატივით ან ფრაქციის არანაკლებ 2 წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
4. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
5. ფრაქციის სხდომის დღის წესრიგს ადგენს და ფრაქციის სხდომას დასამტკიცებლად წარუდგენს ფრაქციის თავმჯდომარე.
6. ფრაქციის სხდომა დღის წესრიგს ამტკიცებს ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის გახსნისათვის (უფლებამოსილებისათვის) დადგენილი ზღვარის ნახევრისა.
7. დღის წესრიგში ცვლილებების (საკითხის ამოღება ან დამატება) შეტანის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის წევრს. გადაწყვეტილება მიიღება ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით.
8. თუ წესდებით სხვა რამ არა არის გათვალისწინებული, ფრაქციის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ ფრაქციის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.
9. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია:
  - ა) გადაწყვიტოს საპარლამენტო უმრავლესობაში, უმცირესობაში ფრაქციის გაერთიანების საკითხი;
  - ბ) შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ფრაქციის წესდებაში;
  - გ) მიიღოს გადაწყვეტილება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვის თაობაზე;
  - დ) აირჩიოს ფრაქციის თანმდებლობის პირები;
  - ე) გადაწყვიტოს ფრაქციის საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები;
  - ვ) რეგლამენტით დადგენილი წესით წარადგინოს კანდიდატები პარლამენტის თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზე;

ზ) გადაწყვიტოს ფრაქციის წარმომადგენლობის კვოტების გამოყენების წესი;

თ) შეიმუშავოს ფრაქციის ბიუჯეტის ხარჯვის წესი;

ი) განიხილოს და გადაწყვიტოს ფრაქციაში პარლამენტის წევრის გაწევრიანებისა და ფრაქციიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის საკითხი;

კ) განახორციელოს საქრთველოს პარლამენტის რეგლამენტი და საქართველოს კანონმდებლობით, ასევე ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

### მუხლი 5

1. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის სხდომაზე, ღია კენჭისყრით, ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს.

2. ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის არანაკლებ 2 წევრს.

3. ფრაქციის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს ფრაქციას პარლამენტში და მის გარეთ;

გ) იწვევს და წარმართავს ფრაქციის სხდომას;

დ) წარუდგენს პარლამენტის აპარატის უფროსს ფრაქციის აპარატში დასანიშნ თანამშრომელთა კანდიდატურებს;

ე) ახორციელებს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ფრაქციის თავმჯდომარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადადგეს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

5. ფრაქცია უფლებამოსილია გადააყენოს ფრაქციის თავმჯდომარე დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას წერილობით მოითხოვს ფრაქციის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

### მუხლი 6

1. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, ფრაქციის წევრთა უმრავლესობით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს.

2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს ან ფრაქციის არანაკლებ 2 წევრს.

3. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს;

ბ) ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნისას ან მისი პირდაპირი დავალებით.

4. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე შეიძლება გადააყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას მოითხოვს ფრაქციის თავმჯდომარე ან ფრაქციის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი წერილობით. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გადარჩეულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხდარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

#### მუხლი 7

1. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრების უმრავლესობით ირჩევს ფრაქციის მდივანს. ფრაქციის მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს.

2. ფრაქციის მდივანი:

ა) ასრულებს ფრაქციის საქმიანობისთვის აუცილებელ დავალებებს;

ბ) ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს;

გ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

3. ფრაქციის მდივნის გადარჩევა შესაძლებელია ფრაქციის თავმჯდომარის ან ფრაქციის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის მდივანი გადარჩეულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხდარს დაუჭერს ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრების უმრავლესობა.

#### თავი V ფრაქციის შემადგენლობა

#### მუხლი 8

1. ფრაქციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს პარლამენტის ნებისმიერი წევრი, რომელიც იზიარებს ფრაქციის პლატფორმას და წესდებას.

2. ფრაქციაში გაწევრიანებისათვის პარლამენტის წევრი განცხადებით მიმართავს ფრაქციის თავმჯდომარეს, რომელსაც პარლამენტის წევრის ფრაქციაში გაწევრიანების საკითხი შეაქვს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

3. ფრაქციაში პარლამენტის წევრის გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მხარს დაუჭერს ფრაქციის შემადგენლობის უმრავლესობა.

4. ფრაქციის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება;

ბ) დაიცვას ფრაქციის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ფრაქციის თავმჯდომარის მითითებები;

გ) არ განახორციელოს ფრაქციის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო ქმედება.

5. ფრაქციის წევრი უფლებამოსილია რეგლამენტით დადგენილი წესით გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან.

6. ფრაქციას უფლება აქვს სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შემადგენლობიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის შესახებ, თუ:

ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფრაქციის ამოცანებს;

ბ) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმას;

გ) განზრახ ან არასაპატიო მიზეზით სისტემატიურად არღვევს ფრაქციის წესდების მოთხოვნებს.

7. ფრაქციის წევრის ფრაქციიდან გარიცხვის მოთხოვნის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს ან ფრაქციის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. ფრაქციიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული.

## თავი VI ფრაქციის წესდების გადასინჯვა

### მუხლი 9.

1. ფრაქციის წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს, ფრაქციის არანაკლებ 2 წევრს.

2. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი გააცნოს ფრაქციის ყველა წევრს და საკითხის ინიცირებიდან 1 თვის ვადაში იგი შეიტანოს ფრაქციის სხდომის დღის წესრიგში.

3. ფრაქციის წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სხდომა, თუ მას მხარს დაუჭერს ფრაქციის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.


თავი VII ფრაქციის გაუქმება

მუხლი 10.

ფრაქცია ჩაითვლება გაუქმებულად, თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩება პარლამენტის 6 წევრზე ნაკლები.

ფრაქციის თავმჯდომარე

გიორგი ღვინიაშვილი

A handwritten signature in black ink, consisting of a horizontal line with a stylized, wavy flourish underneath it.